## ხელშეკრულება №12
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.ქუთაისი (გამარტივებული შესყიდვა) 14 მარტი 2013

ერთის მხრივ, პროფესიული კოლეჯი "ერქვანი" (შემდგომში შემსყიდველი),დირექტორი ფრიდონ ბუაძის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს „დელტა კონტაქტი" ფილიის დირექტორი ბაკურ ხოფერიას (შემდგომში-მომწოდებელი) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით შესყიდვების შესახებ მუხლი 1, პ 4. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: UNDP-ის პროგრამა „პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამა – საწყისი ფაზა" ეზოს შელობისათვის საჭირო მასალების შეძენა. ხელშეკრულების პირობებისა და №1დანართის შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 2.შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: მავთულლობე მოთუთიებული 650მ (2.5მმ ცუქრა: 70X70X135), მავთული მოთუთიებული (4მმ) 120კგ, ეკალმავთული (მოთუთიებული) 750მ , გამომწვარი მავთული (1.2 მმ 5კგ).

### 3.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განისაზღვრება დღგ-ს გარეშე 2747,33 (ორიათასშვიდასორმოცდაშვიდი ლარი და ოცდაცამეტი თეთრი) .

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4,1 მომწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს წაყენებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

### 5. საქონლის მოწოდების ვადები და ადგილი

5,1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 14 მარტიდან 20 აპრილის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
5,2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. ქუთაისი 9 აპრილის ქ №3.

### 6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6,1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

### 7. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

7,1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორებით
7,2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ორ ეტაპად,პირველი 1000( ათასი) ლარი ჩაერიცხოს ბე-ს სახით მასალების შესაძენად, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის ხელმოწერის შემდეგ სრულად ანაზღაურდეს დარჩენილი თანხა,1747,33 (ერთიათასშვიდასორმოცდაშვიდი ლარი და ოცდაცამეტი თეთრი).

## 8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8,1 შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
8,2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
8,3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში
8,4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში რაც მითითებულია ხელშეკრულების 4,1 პუნქტში.

## 9.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9,1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს სასწავლებლის მატერიალური რესურსების მენეჯერი გია ზენდიანიშვილი.
9,2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.
9,3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
10,2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11,1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე
11,2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11,3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
11,4 ერთი- ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
11,5 მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5-კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
11,6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12.. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შესრულებლობისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შერსაბამისად.

## 13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2013-წლის 14-მარტიდან 30-აპრილის ჩათვლით.
13.2.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.
13.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ცალად და თითო ეგზემპლიარი გადაეცემა მხარეებს.

## 14. გარდამავალი დებულებები

საქართველოს მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის (UNDP) 2008 წლის 8თებერვლის შეთანხმებით სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“ პროგრამის ფარგლებში (პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამა – საწყისი ფაზა ) სარგებლობს საგადასახადო შეღავათით პერიოდში 05.02.2013 – 30.04.2013. იხილეთ(RS.GE)

### მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ პროფესიული კოლეჯი"ერქვანი"

ტ:790 10-12-20 მობ: 555 56 41 31
ს/კ 222934671
სს „ ლიბერთი ბანკის " განყოფილება

ა/ა GE69LB0115113408107002

პროფესიული კოლეჯის „ერქვანი"

დირექტორი ________ / ფ. ბიბილაძე /

მომწოდებელი:
შპს „ დელტა - კონტაქტი "

ს/კ 216302016
ქ. ქუთაისი 9 აპრილის ქ №3
„ თი ბი სი ბანკი"
კოდი TBCBGE22
ა/ა GE81TB0238236080167163
ტ: 595 206 006
შპს „ დელტა კონტაქტი"

ფილ.-დირექტორი ________ / ბ.ხოფერია /

დანართი №1

UNDP-ის პროგრამა (პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამა – საწყისი ფაზა ) .

(ხელშეკრულება № 12)

| № | CPV | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთ.ფასი (ლარი)დღგ ს გარეშე | თანხა (ლარი)დღგს გარეშე |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 44310000 | მავთულლობე მოთუთიებული (2.5მმ-უჯრა 70X70X135) | მეტრი | 650.00 | 3.686 | **2,395.90** |
| 2 | 44310000 | მავთული(4მმ მოთუთიებული ) | კგ | 120 | 2.033 | **243.96** |
| 3 | 44310000 | ეკალ მავთული(1.8 მმ მოთუთიებული) | მეტრი | 750 | 0.132 | **99.00** |
| 4 | 44310000 | გამომწვარი მავთული (2 მმ) | კგ | 5 | 1.695 | **8.47** |
| | სულ ჯამი | | | | | 2,747.33 |

"შემსყიდველი"

სსიპ პროფესიული კოლეჯი ,, ერქვანი"
ს/კ. 222934671
ქ. ამბროლაური გურგენიძის ქ №10
ა/ა GE69LB0115113408107002
სს „ლიბერთი ბანკის" განყოფილება
ბანკის კოდი: 220101421
ტ. 593 23 95 37

დირექტორი : /ფხუაძე/

„მომწოდებელი"

შპს ,,დელტა-კონტაქტი"
ს/კ 216302016
,,თი ბი სი ბანკი"
ა/ა GE81TB0238236080167163
მის: ქუთაისი 9აპრილის ქ №3.
ტელ: 595 206 006.

ფილიალის დირექტორი /ბ.ხოფერია/